საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/407

ქ. ბათუმი 27 აგვისტო, 2021 წ.

ბსუ-ს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 13 აგვისტოს MES 4 21 0000793476, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 11 აგვისტოს MES 8 21 0000785965 და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 05 აგვისტოს MES 3 21 0000773387 სამსახურებრივი ბარათებით წარმოდგენილია ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტთა შესახებ ინფორმაცია, რომლებმაც დადგენილ ვადაში ვერ შეასრულეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვისთანავე სტუდენტს უწყდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი, გამონაკლისი შეიძლება დაიშვას აკადემიური საბჭოს დადგენილებით. ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების მე-17 მუხლის მესამე პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის თანახმად, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დოქტორანტთა მიერ დადგენილ ვადაში (6 ძირითადი სემესტრი და 4 დამატებითი სემესტრი) საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო მიზანშეწონილია და კანონშესაბამისი დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება მათთვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 13 აგვისტოს MES 4 21 0000793476, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 11 აგვისტოს MES 8 21 0000785965 და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 05 აგვისტოს MES 3 21 0000773387 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ბსუ-ს იმ დოქტორანტების **(დანართი №1)** მიმართ, რომელთაც დადგენილ ვადაში ვერ შეასრულეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. დაინტერესებულ პირებს (სტუდენტებს), ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განემარტოთ, რომ შეუძლიათ **03 დღის ვადაში** წარმოადგინონ ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარიას) წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ აქტთან დაკავშირებით.

3. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს 2021 წლის 31 აგვისტოს შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე.

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ინდივიდუალურად ეცნობოს შესაბამის სტუდენტს (ბრძანებაში აღნიშნულ სხვა სტუდენტთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით), რომლის უზრუნველყოფა დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისს და ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას).

5. ბრძანება სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს შესაბამის სტუდენტებს.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიებს სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტებს და განთავსდეს შესაბამისი სტუდენტების პირად საქმეებში.

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის

27 აგვისტოს N01-08/407 ბრძანების

დანართი №1

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

№	დოქტორანტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა)
1.	გიორგი კალანდაძე		ბიოლოგია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

№	სტუდენტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა)
1.	მარიკა ბერიძე		ლიტერატურათმცოდნეობა

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

№	დოქტორანტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა)
1.	ჯემალ ანანიძე		ბიზნესის ადმინისტრირება
2.	ბესიკ კვაჭანტირაძე		ბიზნესის ადმინისტრირება